ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3715870

ნომერი: AR1558789

თარიღი : 17.11.2017

გაცემის თარიღი : 04.12.2017

გაცნობის თარიღი : 04.12.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი ფონიჭალა , N 65 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ანთაძე პ/ნ 01018000600
- თბილისი ლარსის ქ. N 3

ორგანიზაცია:

- შ.პ.ს. "ჯი-ემ-პი" კოდი: 211385268

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ღანდშაფტური მშენებლობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ შემდეგს:

იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საჭიროა წარმოადგინოთ შემდეგი:

- "მოთხოვნის ტექსტში" აღნიშნავთ, რომ მოხდა #16, #17, #18 შენობა-ნაგებობების დემონტაჟი, საჭიროა მოხდეს საკადასტრო გეგმის განახლება და აღნიშნული შენობების საკადასტრო გეგმიდან ამოღება.

- ვინაიდან სამსახურის მიერ მიწის ნაკვეთზე გაცემულია გზის მოწყობის რამდენიმე წერილობითი დასტური, საჭიროა განახლებულ საკადასტრო გეგმაზე საპროექტო ადგილთან ერთად დაიტანოთ სამსახურის მიერ ყველა გაცემული წერილობითი თანხმობის ზუსტი განთავსების ადგილმდებარეობა შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.